

**შპს ექსპორტს კაპიტალ +
ფინანსური ანგარიშგება
2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლებისთვის**

ლა

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვერა

**შპს მესალის კაპიტალ +
ფინანსური აგენტიში
2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის
თანხმის მოცემულია დანაში**

შინაარსი

| | |
|--|---|
| <u>მეწარმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა</u> | 1 |
| <u>დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა</u> | 2 |
| <u>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</u> | 4 |
| <u>სრული შემოსავლების ანგარიშგება</u> | 5 |
| <u>ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება</u> | 6 |
| <u>ქაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება</u> | 7 |

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

| | |
|---|----|
| <u>1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა</u> | 8 |
| <u>2 კომპანიის საოპერაციო გარემო</u> | 8 |
| <u>3 მომზადების საფუძველი</u> | 8 |
| <u>4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა</u> | 9 |
| <u>5 კრიტიკული სააღრიცხვო შევასებები</u> | 13 |
| <u>6 ფული და ფულის ეპივალენტები</u> | 14 |
| <u>7 გაცემული სესხები</u> | 14 |
| <u>8 მირიანდი საშუალებები</u> | 15 |
| <u>9 არამატერიალური აქტივები</u> | 16 |
| <u>10 მიღებული სესხები</u> | 16 |
| <u>11 სხვა ვალიდულებები</u> | 16 |
| <u>12 საწესდებო კამტალი</u> | 17 |
| <u>13 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები</u> | 17 |
| <u>14 ფინანსური რისკების მართვა</u> | 17 |
| <u>15 ფინანსური აქტივები და ვალიდულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები</u> | 22 |
| <u>16 დაკავშირებული მსარეები</u> | 23 |
| <u>17 პირისითი ვალიდებულებები</u> | 24 |
| <u>18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა</u> | 24 |
| <u>19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები</u> | 25 |

შპს მესარეს კაპიტალ +
ფინანსური ანგარიშგება
2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული არიოღვაისათვის
თანხმბი მოცემულია ლარში

შენჯვალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდარისულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "შიკროსაფინანსო ორგანიზაცია ექსპრეს კაპიტალ +"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაბურისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

შენჯვალი აგრეთვე პასუხისმგებულია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიღლოს მისოფეს გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ჯანსული ზეიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 14 ივნისი, 2018

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს "ექსპრეს კაპიტალ +"-ის მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩევნ ჩავატარეთ შეს "ექსპრეს კაპიტალ +" -ის (შემდგომში „კომპანია“) თანდარული ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებას 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღებით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი ა აშროთ, თანდართული ფინანსური ანგარიშება, კველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლინად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მომრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშების საკრთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთოშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ”აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთოშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ჩეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალიდურებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტბიცებულებები საქართველოს და შესაფერისა საფუძვლია ჩვენი აუდიტისათვის.

မြောက်များတို့ဝါယာ လူ မာတ်သွေးပေး ဖျော်လှောင်းစွဲလွှာပိတ် အကျဉ်းဖြောက်လှုပါ။ ဒေဝါယာ အားလုံး အနေအထားဖြောက်လှုပါ။

მერეჯმენტი ჰასუხისმგბელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბმისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამართლებლად, რომელიც არ შეიცვას თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშების მოზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაგასოს კომიანის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრაული აქვს კომიანის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცევთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსახრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასე-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალონელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მომზადენს მომზადებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასე-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგებმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვაპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსახრების გამოოქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიღერ რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმოდეს ფარულ შეთანხმებას, გაფალბებას, ოპერაციების განზრას გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შედა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსახრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ფასიჩიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართ დაკავშირებით. თუ დაგასკრინთ, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში წერადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსახრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკრინები ეკრანობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გაელენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგნას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგნას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასწავლისა, ვადგების და ასევე აუდიტის პროცესში წარმოჭრილი მნიშვნელოვანი საკონტენის, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიწერილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 14 ივნისი 2018
თბილისი, საქართველო



შპს მისო მესამეს კაპიტალი +

ვინაცეური ანგარიშგება

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აერიოდებისათვის
თანხმის მოცემულია ლარში

ვინაცეური მდგრადარღვევის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31-დეკ-17 | 31-დეკ-16 | 31-დეკ-15 | 01-იან-15 |
|--------------------------------------|----------|------------------|----------------|----------------|---------------|
| აქტივები | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 6 | 81,561 | 35,986 | 54,981 | 10,331 |
| გაცემული სესხები | 7 | 829,232 | 521,968 | 194,493 | 56,134 |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 75,034 | 87,418 | 61,285 | 13,280 |
| არამატერიალური აქტივები | 9 | 110,075 | 122,729 | - | - |
| საგადასახადო აქტივები | | 14,912 | 2,291 | 809 | - |
| სხვა აქტივები | | 65,332 | 22,258 | 2,608 | 2,428 |
| სულ აქტივები | | 1,176,146 | 792,650 | 314,176 | 82,173 |
| ვალდებულებები | | | | | |
| მიღებული სესხები | 10 | 657,806 | 635,482 | 253,186 | 76,090 |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | | 6,034 | 11,266 | 4,829 | 121 |
| სხვა ვალდებულებები | 11 | 72,607 | 110,816 | 335 | 385 |
| სულ ვალდებულებები | | 736,447 | 757,564 | 258,350 | 76,596 |
| კაპიტალი | | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 12 | 385,550 | 550 | 550 | 550 |
| გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) | | 54,149 | 34,536 | 55,276 | 5,027 |
| სულ კაპიტალი | | 439,699 | 35,086 | 55,826 | 5,577 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 1,176,146 | 792,650 | 314,176 | 82,173 |

ჯანსულ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 14 ივნისი 2018

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +
 ზონას შრი ანგარიშგება
 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ამინიდებისათვის
 იანები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2017 | 2016 | 2015 |
|--|----------|-----------|-----------|----------|
| საპროცენტო შემოსავალი | | | | |
| საპროცენტო ხარჯი | | 494,366 | 433,315 | 166,999 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | (88,287) | (103,193) | (49,918) |
| | | 406,079 | 330,122 | 117,081 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | | 225,805 | 1,710 | 2,102 |
| ზარალი საგალუტო ოპერაციებიდან | | (34,161) | (67,444) | - |
| საკიმისიო შემოსავლები, წმინდა | | 5,102 | 37,804 | 13,327 |
| სხვა შემოსავალი | | 47,862 | 11,659 | 895 |
| საოპერაციო შემოსავალი | | 650,687 | 313,852 | 133,404 |
| საოპერაციო და აღმნისტრაციული ხარჯები | 13 | (319,744) | (204,442) | (63,084) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 8; 9 | (30,534) | (16,585) | (7,099) |
| სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი) | 7 | (188,057) | (79,558) | - |
| სხვა ხარჯები | | (6,759) | (18,026) | (8,021) |
| მოგება დაბევრამდე | | 105,593 | (4,759) | 55,201 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (6,034) | (13,878) | (4,951) |
| <u>მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)</u> | | 99,560 | (18,637) | 50,250 |
| სხვა სრული შემოსავლები | | - | - | - |
| <u>მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)</u> | | 99,560 | (18,637) | 50,250 |

ჯანსულ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსპრეს კაპიტალ +

თარიღი: 14 ივნისი 2018

შპს მისო ექსარჩს კაპიტალი +
 ფინანსური აცხარი უზრუნველყო
 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული არიოდებისათვის
 თანხმიდი მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის აცხარი უზრუნველყობა

| | 2017 | 2016 | 2015 |
|---|------------------|------------------|-----------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმინობიდან | | | |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) | 99,560 | (18,637) | 50,250 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 30,534 | 16,585 | 7,099 |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმინობიდან საოპერაციო კაპიტალში | 130,094 | (2,052) | 57,348 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივების შემცირება(ზრდა) | (55,698) | (21,130) | (989) |
| გაცემული სესხების ზრდა/(შემცირება) | (307,264) | (327,476) | (138,359) |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება(ზრდა) | (43,441) | 116,918 | 4,657 |
| საოპერაციო საქმინობიდან მიღებული ფულადი სახსრები | (276,308) | (233,740) | (77,342) |
| ფულადი ნაკადები სანვესტიციო საქმინობიდან | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (18,150) | (42,718) | (55,104) |
| არამატერიალური აქტივის შეძენა | 12,654 | (122,729) | - |
| ცვლილებები კაპიტალში | 385,000 | - | - |
| სანვესტიციო საქმინობიდან მიღებული წმინდა ფული | 379,504 | (165,447) | (55,104) |
| მიღებული სესხები | 22,324 | 382,295 | 177,097 |
| გატანილი დივიდენდი | (79,947) | (2,104) | - |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმინობიდან | (57,623) | 380,192 | 177,097 |
| ფულადი სასხებისა და მათი უქვივალენტების წმინდა ზრდა | 45,574 | (18,995) | 44,651 |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | 35,986 | 54,981 | 10,331 |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს | 81,561 | 35,986 | 54,981 |

ჯანსული ზეიშვილი

დირექტორი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ექსპრეს კაპიტალ

თარიღი: 14 ივნისი, 2018

შპს მისო ექსარჩეს კაპიტალი +
 ციფრული ანგარიშგვება
 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონიტივული სათვის
თანხმის მოცემულია ლარში

კაპიტალი ცვლილებების ანგარიშგვება

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|-----------------------|-------------------------|---------------------------------|
| <u>ნაშთი 2015 წლის 1 იანვარი</u> | (550) | (5,027) | (5,577) |
| საწესდებო კაპიტალი გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) | - | (50,250) | (50,250) |
| <u>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერი</u> | (550) | (55,276) | (55,826) |
| საწესდებო კაპიტალი გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) გატანილი დიკადენდი | - | 18,637 2,105 | 18,637 2,105 |
| <u>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u> | (550) | (34,536) | (35,086) |
| საწესდებო კაპიტალი გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) გატანილი დიკადენდი | (385,000) - - | - (99,560) 79,947 | (385,000) (99,560) 79,947 |
| <u>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u> | (385,550) | (54,149) | (439,699) |

კანსულ ზეიშვილი

დირექტორი

შპს ექსარჩეს კაპიტალ +

თარიღი: 14 ივნისი 2018

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +

ვინასეური აგენტობრება

2017 და 2016 წლის 31 ღეპუნით დასრულებული პრიორულისათვის
თანხმის მოვალეობის დარღვევი

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

შპს ექსპრეს კაპიტალ + (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) დარეგისტრირდა 2014 წლის 21 აგვისტოს. კომპანიის ორგანიზაციული მისამართია საქართველო, ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ., №86ა, ბ. 46.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მეწარმე ფიზიკურ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად უზრუნველყოფის გარეშე. კომპანიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს ორმოცდათ ათას ლარს ერთ სესხზე.

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ექსპრეს კაპიტალ +"-ის დამფუძნებლები არიან:

| დამფუძნებელი | 31-დეკ-17 | 31-დეკ-16 | 31-დეკ-15 | 1-იან-15 |
|-------------------|-----------|-----------|-----------|----------|
| ჯანსული ზენიშვილი | 100% | 100% | 100% | 100% |
| | 100% | 100% | 100% | 100% |

შენიშვნა 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. 2017 წლის ეს რეგულაციები მოიცავს საწესებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 250 ათასი ლარი) და ფინანსური ანგარიშების ფასების შესაბამისად. საქართველოში დღესდღობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 50 ათას ლარზე მეტი თანხის გაცემა. (ასევე იხილეთ შენიშვნა 13)

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაგავშირებული, რაც არ არის დამახსიათებილი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის გამავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, ისისხლის, საგადასახადო, აღმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადგინდა იმოქმედა ქვეყნაში საერთო საინკუსტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი სერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინკუსტიციო გარემოს კუთხით. საქართველო კორუფციის დაბალი დონით გამოიჩინა საერთაშორისო გამჭვირვალობა 2016 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიხედვით.

შენიშვნა 3 მომზადების საფუძვლი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშება მომზადდა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამეტ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებთან.

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშება წარმოადგენს პირველს, რომელიც მომზადდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშება, 2015 წლის 31 დეკემბრის შესადარის ინფორმაციასთან ერთად, მომზადდა მისი პირველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს, 2016 წლის 31 დეკემბრს, მოქმედ ფასს-თან შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგნილი აქტივებისა და გალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგნის თარიღისათვის არსებული პირობით აქტივებისა და გალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები კყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმღინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნააღრევად არ მიუღია. მათგან სავარაუდო შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს გავლენას კომპანიის ოპერაციებზე. კომპანია გეგმავს, რომ მიიღოს ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები, მათი ძალაში შესელის მომენტიდან.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, ახალ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჭირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ფასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე აღრე დანერგვაც.

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - საშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამთ ასახოს კლიენტისათვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხოთ, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჭვიდვების შესახებ, წარმოადგნეს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულფოფილად არ იყო წარმოდგნილი. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე აღრე დანერგვაც.

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მერკარებისთვის. თუმცა, მოიჯარებს იგი ავალდებულებებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების საბით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარებებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქტივებით არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარება და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და სამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +
ფინანსური ანგარიშგება
2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.1 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია აფასებს აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.2 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრეზზე.

4.3 გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სახესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის აზარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უძველოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯენტი დარწმუნდება, რომ მან გამოიყენ ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელო არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

4.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი წნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანასარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის შეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანასარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოინგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| აქტივების ჯგუფი | შეფასებული საექსპლუატაციო ვადები |
|--|----------------------------------|
| კომისიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები | 5-10 წელი |
| ავეჯი | 5 წელი |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 5-10 წელი |

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიზედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მნეჯმენტი განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების, რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდგენით ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენი ხდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდგენი ჩაირთვება მოგება-ზარალის იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ხარჯი აღიარდება. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენი ხდება ისეთნაირად, რომ ამ აღდგენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადაჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივს აღრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

4.5 არამატერიალური აქტივები

შექმნილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება მასზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზირებით, ამორტიზაციის და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია.

4.6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისნი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ნეგარიშებაში, ვინაიდან ისნი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შესებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ზარჯებში.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.6 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო გაღიზებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებულ მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთის და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან გაღიზებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბუღრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებით სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და, შესაბამისად, მირთავდ დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

4.7 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ღირებულებით.

4.8 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდნობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწევეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

4.9 საპრცენტო შემოსავლის და ზარჯის აღიარება

საპრცენტო შემოსავალი და ზარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, ეფექტური საპრცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის, თივალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა საშის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპრცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

4.10 ჯარიმები, სხვა შემოსავლები და ზარჯები

კლიენტებზე დაკისრებული ჯარიმები, დაგვიანების ან გადაუხდელობის გამო, აღიარდება საჭარი მეთოდით. შენეჯმენტი ფიქრობს, რომ ჯარიმებიდან შემოსავლებზე საკასო მეთოდის გამოყენება უფრო გონივრულია, უკეთ ასახავს რეალურ საოპერაციო შედეგებს და, შესაბამისად, გვაწვდის სწორ ინფორმაციას მსგავს შემოსავლებზე.

შპს მისო ექსპრეს კაპიტალი +

ფინანსური ანგარიშგება

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდებისათვის

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.11 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | 31-დეკ-17 | 31-დეკ-16 | 31-დეკ-15 | 1-იან-15 |
|------------|-----------|-----------|-----------|----------|
| აშშ დოლარი | 2.5922 | 2.6468 | 2.3949 | 1.8636 |
| ევრო | 3.1044 | 2.7940 | 2.6169 | 2.2656 |

4.12 ურთიერთგადაფარვა

